



საქართველოს დიალიზის,
ნეფროლოგიისა და თირკმლის
ტრანსპლანტაციის კავშირი

თირკმლის ტრანსპლანტაცია

ინფორმაცია პაციენტებისათვის




უოფმან - ლა როჟი
ბაზელ, შვეიცარია

ჩვენი მიზანია, მოსახლეობასა და სამედიცინო საზოგადოებას მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამოვლენის, პრევენციისა და მკურნალობის შესახებ.

თირკმლის ტრანსპლანტაცია

1. რა არის თირკმლის ტრანსპლანტაცია

თირკმლის ტრანსპლანტაცია წარმოადგენს თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიას, რომლის შედეგადაც თირკმლების ტერმინალური უკმარისობით დაავადებულ პაციენტს (რეციპიენტს) გადაენერგება სხვა ადამიანის (დონორის) თირკმელი. ადამიანს, რომლის თირკმელიც ტრანსპლანტაციისათვის იქნება გამოყენებული, დონორი ეწოდება.




2. რეციპიენტისა და დონორის გამოკვლევა

ოპერაციის დაგეგმვის წინ აუცილებელია პოტენციური რეციპიენტის საფუძვლიანი გამოკვლევა. თირკმლის ტრანსპლანტაცია უკუნაჩვენებია საშარდე გზების თანდაყოლილი ან შექნილი ანომალიების, თუძოს არტერიების მხრიდან პათოლოგიის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების და სხვ. არსებობის შემთხვევაში.




დონორის შერჩევას, პირველ რიგში, აუცილებელია სისხლის ჯგუფის თავსებადობის შეფასება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქსოვილოვანი თავსებადობის ანალიზი რეციპიენტსა და დონორს შორის. თირკმლის ტრანსპლანტაცია წარმოებს როგორც გვამური, ასევე ცოცხალი დონორებიდან (უმრავლეს შემთხვევაში სისხლით მონათესავე).



3. ოპერაცია - თირკმლის ტრანსპლანტაცია

ოპერაციის მსვლელობისას დონორის თირკმელი თავსდება რეციპიენტის თქმის ფოსოში, სადაც ის კარგად არის დაცული და ადვილად არის ხელმისაწვდომი შემდგომი გამოკვლევებისათვის.



გადანერგილი თირკმლის ფუნქციის აღდგენა უმრავლეს შემთხვევაში ხდება უშუალოდ ოპერაციის მიმდინარეობისას სისხლძარღვოვანი ანასტომოზის დადებისა და თირკმლის პერფუზიის აღდგენის შემდეგ.

ზოგჯერ ადგილი აქვს თირკმლის ტრანსპლანტატის ფუნქციონირების აღდგენის შეფერხებას, რის გამოც რეციპიენტს ოპერაციის შემდეგ რამოდენიმე დღის განმავლობაში კვლავ უგრძელდება დიალიზით მკურნალობა.


4. თირკმლის ტრანსპლანტაციის გართულებები

ოპერაციის შემდგომ ადრეულ გართულებებს მიეკუთვნება:

- სისხლდენა
- შარდსაწვეთის იშემიური დაზიანება
- სისხლძარღვების თრომბოზი
- ჭრილობის ინფიცირება
- ლიმფორეა

და სხვ.

ტრანსპლანტაციის შემდეგ იწყება უწყვეტი კონფლიქტი ორგანიზმსა და უცხო ორგანოს შორის: ორგანიზმი ცდილობს ტრანსპლანტატის მოცილებას.



ტრანსპლანტატის მოცილების სინდრომის საპროფილქტიკოდ პაციენტი უწყვეტად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა იღებდეს იმუნოსუპრესანტებს. ყველაზე ხშირად გამოიყენება: სტეროიდები, ციკლოსპორინი/პროგრავი, მიკოფენოლატის მოფეტილი/აზათიოპრინი და სხვ.




აღნიშნული პრეპარატები იმუნოსუპრესიული მოქმედების გარდა ხასიათდებიან რიგი გვერდითი მოვლენებით.

ამიტომ ექიმის მიერ შერჩეული იმუნოსუპრესიული სქემა უნდა იყოს ინდივიდუალური – გათვალისწინებული უნდა იყოს იმუნოსუპრესიული საჭიროება და აღნიშნული პრეპარატების გვერდითი მოვლენების განვითარების რისკი.

იმუნოსუპრესიული მკურნალობის მიუხედავად რეციპიენტის ორგანიზმის იმუნური აქტივობა შეიძლება იყოს საკმარისად აგრესიული იმისათვის, რომ განვითარდეს მოცილების მწვავე კრიზი და რომლის დასათრგუნად საჭიროა იმუნოსუპრესიული მკურნალობის გაძლიერება ან არსებული მედიკამენტების ჩანაცვლება სხვა, პოტენციურად უფრო ძლიერი იმუნოსუპრესანტებით.

მოცილების მწვავე კრიზის გარდა, რომელიც ვითარდება ოპერაციის შემდგომ ადრეულ პერიოდში, შეიძლება განვითარდეს ქრონიკული მოცილების სინდრომი, რომელიც რამდენიმე თვეში ან წელიწადში იწვევს ტრანსპლანტაციის ფუნქციონირების მოშლას.



წარმატებული ტრანსპლანტაციის შემთხვევაში პაციენტების დიეტა ნაკლებზეზღუდულია, თუმცა რეკომენდებულია დაბალქოლესტეროლიანი დიეტის მუდმივად დაცვა.



ამრიგად, ტრანსპლანტაციის ძირითადი მინუსია ორგანოს მოცილების მუდმივი რისკი, რაც ქმნის იმუნოსუპრესანტების უწყვეტი მიღების აუცილებლობას. ამას კი თან სდევს ინფექციური დაავადებების განვითარების მაღალი რისკი. ასევე ძლიერდება ონკოლოგიურ დაავადებათა აღმოცენების ალბათობა.



5. დასკვნა

უმრავლეს შემთხვევაში თირკმლის ტრანსპლანტაცია წარმატებულად მთავრდება. ყველაზე ოპტიმალურია ცოცხალი, ნათესაური დონაციის შემთხვევები. დიალიზთან შედარებით თირკმელგადანერგილი პაციენტების ცხოვრება არსებითად განსხვავებული და სრულფასოვანია.



სელსექტი

მოფატილის მიკოფენოლატი

პროგრესი იმუნოსუპრესიები

ათლეულზე მეტია მისი
ეფექტურობა
დადასტურდა 275000
ტრანსპლანტირებულ
პაციენტში მსოფლიოში

ზრუნავს თითოეული თირკმლის გადარჩენისთვის

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
კოფან-ლა რუპის წარმომადგენლებს საქართველოში
მიროტაძის ქ. 1
ტელ.: 37 99 20, 38 92 99, ფაქსი: 37 46 21
ელ.-ფოსტა: rochegeorgia@wanex.net



